

შალვა ტაბატაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

ბილინგვიზმის დადებითი ეფექტი კოგნიტური განვითარებისა და ენის ათვისებისთვის

აბსტრაქტი

ბილინგვური განათლება და ბილინგვიზმი საკამათო თემებად რჩება როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე საზოგადოებაში. წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოადგინოს იმ კვლევების შედეგები, რომლებიც ხაზს უსვამენ ბილინგვიზმის უპირატესობებს კოგნიტური ცნობიერების განვითარებისა და ენის ათვისების პროცესში.

სტატიის შესავალი ნაწილი მიმოიხილავს ბილინგვიზმთან დაკავშირებულ სხვადასხვა შეხედულებას. სტატიის მეორე ნაწილში აღწერილია კვლევები ბილინგვიზმის კოგნიტური უპირატესობების შესახებ, სტატიის მესამე ნაწილში მიმოვიხილავთ კვლევებს, რომლებიც ადასტურებენ ბილინგვიზმის დადებით გავლენას ენის ათვისებაზე. დასკვნის სახით, სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ ბილინგვიზმის კოგნიტური, აკადემიური და სოციალური უპირატესობების გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ბილინგვური განათლების ეფექტური პროგრამები, რათა მოხდეს ბილინგვიზმის უპირატესობების რეალიზება.

შესავალი

ბილინგვური / მულტილინგვური განათლების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები ძირითადად პოზიტიურად აფასებენ ბილინგვური სწავლების ეფექტს ბავშვის ენობრივი თუ კოგნიტური განვითარებისთვის

(ბეკერმანი, 2005). მიუხედავად კვლევების ასეთი პოზიტიური შედეგებისა, ბი / მულტილინგვური განათლება რჩება ერთ-ერთ ყველაზე უფრო საკამათო თემად განათლების პოლიტიკაში (ბეკერმანი, 2005).

წინამდებარე სტატიაში წარმო-
გიდგენთ სხვადასხვა კვლევის შედეგებს,
რომელთა მიხედვითაც ბილინგვიზმს
პოზიტიური გავლენა აქვს კოგნიტური
ცნობიერების განვითარებაზე და
სხვადასხვა კოგნიტური პროცესზე
პოზიტიურად მოქმედებს. ამ სტატიის
მიზანია, რომ მეტ-ნაკლებად
დაამსხვრიოს ბილინგვიზმის
უარყოფითი შედეგების შესახებ
მოსაზრებები და წარმოადგინოს
ვალიდურ კვლევებზე დაფუძნებული
შედეგები კოგნიტური განვითარებისა თუ
ენის ათვისების მიმართულებით.

საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა
სტერეოტიპი ორენოვნებასთან დაკავში-
რებით: გავრცელებული მოსაზრების
მიხედვით, ორ ენაზე სწავლა ვნებს
ბავშვის ფსიქიკას და მისი ცოდნის
დონეს აქვეითებს. ამ მოსაზრებას არა
მხოლოდ არაპროფესიონალები გამოთ-
ქვამენ, არამედ მრავალი მეცნიერი
ევროპასა და ამერიკაშიც კი. მათ თავის
დროზე ინტელექტის მაჩვენებლები
შეადარეს მონოლინგვალ და ბილინგვალ
ბავშვებს შორის და დაადგინეს, რომ
ბილინგვალ ბავშვებს ინტელექტის
მაჩვენებლები უფრო დაბალი აქვთ!
გაკეთდა დასკვნა, რომ სწორედ
ბილინგვიზმის ბრალია ინტელექტის

დაბალი მაჩვენებლები. თუმცა,
თანამედროვე სამყაროს მთავარი
მახასიათებელი გლობალური კავშირების
გაფართოებაა, ამიტომ წმინდად
მონოლინგვური საზოგადოება
თვითიზოლაციისთვისაა განწირული,
რაც თვითგანადგურების ტოლფასია.
სრულიად მონოლინგვური
საზოგადოების პოვნა თითქმის
შეუძლებელიც არის - ყოველ
შემთხვევაში, განვითარებულ ან
ცივილიზებულ ქვეყნებში მაინც... ამი-
ტომ დღეს ბილინგვიზმის შესწავლას
მეტი ყურადღება ეთმობა; შესაბამისად,
თანამედროვე კვლევების სიზუსტე
უფრო მაღალია. კვლევებში გათვა-
ლისწინებულია ასევე ფსიქოლინ-
გვისტური და სოციოლინგვისტური
ფაქტორები, მიღებულია მონაცემები,
რომლებიც სწორედ წინამდებარე
მოსაზრებების საპირისპიროს ადას-
ტურებს. შემდგომ თავებში აღვწერთ
აღნიშნულ კვლევებსა და მათ შედეგებს.

კვლევები ბილინგვიზმის კოგნიტური უპირატესობის შესახებ

კვლევებმა ცხადყვეს ბილინგვალების
გარკვეული კოგნიტური უპირატესობები
მონოლინგვალებთან შედარებით.
ბილინგვალებს აქვთ უფრო მეტი

ლექსიკური მარაგი ჯამობრივად ორ ენაში, ვიდრე მონოლინგვალებს. შესაძლებელია, ლექსიკური მარაგის მრავალფეროვნება განაპირობებდეს აზროვნების თავისუფლებას, მოქნილობას, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას. მაგალითად, დოილემ და მისმა კოლეგებმა (1978) დაადგინეს, რომ ბილინგვალეები უფრო ადვილად ახერხებენ მოთხრობებისა და ამბების დაკავშირებას, ისევე, როგორც სხვადასხვა კონცეპტის მიგნებას, ვიდრე მონოლინგვალეები (ბეიკერი, 2006).

ლანკო-უორალმა (1972) შეისწავლა სიტყვის ჟღერადობისა და მისი მნიშვნელობის განცალკევების საკითხი 30 აფრიკულ/ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ბავშვის კვლევის შედეგად. კვლევაში ბილინგვალი და მონოლინგვალი ბავშვების შერჩევა მოხდა; შერჩევა დაეფუძნა ინტელექტუალური ტესტის შედეგებს, სქესის, ასაკის, კლასისა და სოციალური სტატუსის საერთო მახასიათებლებს. პირველი

ექსპერიმენტის დროს ბავშვებს მიაწოდეს სამი სიტყვა: CAP (ქუდი), CAN (შექმევა), HAT (ქუდი) და ჰკითხეს, თუ რომელი სიტყვა იყო ერთმანეთის მსგავსი. ბავშვებმა, რომლებმაც უპასუხეს, რომ CAP (ქუდი) და CAN (შექმევა) იყო

მსგავსი, დაეფუძნენ სიტყვის ბგერით მსგავსებას, ხოლო ვინც უპასუხა, რომ CAP (ქუდი) და HAT (ქუდი) იყო მსგავსი – დაეფუძნენ სიტყვათა სემანტიკურ მსგავსებას (იდენტურობას). ლანკო-უორელმა აღმოაჩინა, რომ შვიდი წლის ასაკიდან პასუხებში მონოლინგვალებსა და ბილინგვალებს შორის სხვაობა არ შეიმჩნეოდა, ხოლო 4 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში ბილინგვალეები ყურადღებას აქცევდნენ სიტყვის მნიშვნელობას, მონოლინგვალეები კი – სიტყვის ჟღერადობას... ამ აღმოჩენის შედეგად მკვლევარმა დაასკვნა, რომ ბილინგვალეები „სემანტიკური განვითარების ეტაპების თვალსაზრისით, ორისამი წლით უსწრებენ მონოლინგვალებს“ (მითითებულია ბეიკერის (2006, გვ. 1398) მიხედვით).

ექსპერიმენტის მეორე ნაწილში ლანკო-უორელმა ბავშვებს სთხოვა, დაერქმიათ სახელები საგნებისთვის, მაგალითად, „ძროხისთვის“ დაეძახათ „ძალი“ და პირიქით – „ძალისთვის“ – „ძროხა“. ბილინგვალეებმა გაცილებით მარტივად მოახერხეს, ხოლო მონოლინგვალეებს გაუჭირდათ სახელების ჩანაცვლება; ანუ, ბილინგვალეებისთვის სიტყვა და საგანი გამიჯნულია, რასაც ადგილი არ აქვს მონოლინგვალეებში (ბეიკერი, 2006).

ამ მიმართულებით საინტერესოა აგრეთვე ბენ-ზევის (1977ა, 1977ბ) კვლევის შედეგები. ბენ-ზევემა შეიმუშავა სიმბოლოთა ჩანაცვლების ტესტი და მოსწავლეებს დაევალებათ ერთი სიტყვის მეორით ჩანაცვლება წინადადებაში. ბავშვებს უნდა გამოეყენებინათ „მაკარონი“ პირის ნაცვალსახელის „მე“-ს ნაცვლად. მაგალითად, „მე მცხელას“ ნაცვლად ბავშვებს უნდა ეთქვათ „მაკარონი მცხელა“. ბენ-ზევემა აღმოაჩინა, რომ ბილინგვალეებმა შეძლეს წინადადების უკეთესად გამართვა, როგორც სიტყვის მნიშვნელობის, აგრეთვე წინადადების კონსტრუქციის თვალსაზრისით. ბენ-ზევეი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში მცხოვრები 5-დან 8 წლამდე ივრითისა და ინგლისურის მცოდნე ბილინგვალეებზე დაკვირვებით, მივიდა დასკვნამდე, რომ მონოლინგვალეებთან შედარებით, მათ აქვთ უპირატესობა, რადგან აქვთ ორი ენობრივი სისტემა და იციან ორი ენის ენობრივი კონსტრუქციები. შესაბამისად, ბილინგვალეებს უფრო მოქნილი და ანალიტიკური ენობრივი უნარი გააჩნიათ (ბეიკერი, 2006).

ბილინგვიზმისა და კოგნიტური განვითარების ადრეული კვლევები

აქცენტს აკეთებდნენ აზროვნების სტილსა (შემოქმედებითი და განსხვავებული) და ამ აზროვნების პროდუქტზე, ხოლო უკანასკნელი კვლევები უფრო მეტად ფოკუსირებულია აზროვნების პროცესზე (ინფორმაციის პროცესირება, დამახსოვრება, ენობრივი პროცესირება და ა.შ.) (მაგალითად, ბილისტოკი, 2001, პავლენკო, 1999). აღსანიშნავია, რომ ყველა ამ კვლევის შედეგი არ არის „ბილინგვალთათვის სასარგებლო“ (ბილისტოკი, 2001). კერძოდ, ნიკ ელისმა (1992) და გარმა და მისმა კოლეგებმა (1993) აღმოაჩინეს, რომ ბილინგვალეები უფრო ნელა ახდენენ რიცხვების პროცესირებას. მართალია, ბილინგვალეები შედარებით ნელა ახდენენ კალკულაციას მათთვის შედარებით ნაკლებად განვითარებულ ენაზე, თუმცა ისინი მონოლინგვალეებს არ ჩამოუვარდებიან მათემატიკური პრობლემების გადაჭრასა და ამოცანების ამოხსნაში (ბილისტოკი, 2001ა). მაკლეიმ (2003) აღმოაჩინა, რომ ზრდასრული დაბალანსებული ბილინგვალეები უფრო წარმატებით ხსნიან მათემატიკურ ფარდობით პრობლემებს, ვიდრე მონოლინგვალეები, ხოლო კესლერმა და ქუინმა (1980, 1982) დაადგინეს, რომ

ბილინგვალეზს უპირატესობა აქვთ მეცნიერული პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით (ბეიკერი, 2006).

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა ბილინგვალი ბავშვის კოგნიტური განვითარების კვლევას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ელენ ბილისტოკის კვლევები და ამ კვლევათა ანალიზი. ბილისტოკმა (2007) გააანალიზა ბილინგვიზმის უპირატესობები კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით და 2 კატეგორიად დაყო:

(ა) სტაბილური პროცესირება;

(ბ) დაცულობა ტვინის აღსრულებითი პროცესირების შესუსტებისგან.

(ა) სტაბილური პროცესირება

ელენ ბილისტოკს მოჰყავს რამდენიმე კვლევის ანალიზი, რომელიც ადასტურებს ბილინგვალთა უპირატესობას მონოლინგვალეთთან შედარებით სტაბილური პროცესირების თვალსაზრისით. კვლევაში ბილისტოკმა და მისმა კოლეგებმა გამოიყენეს „თვალის რეაგირების“ დავალება. ამ ექსპერიმენტში მონაწილეობდა 48 მოზარდი, რომელთაგან ნახევარი - ბილინგვალი, ნახევარი კი მონოლინგვალი იყო. კვლევის

ობიექტებს უნდა ეყურებინათ სხვადასხვა საგნისთვის და მოეღვარე ფერის გამოჩენაზე მოეხდინათ მზერის სწრაფი ცვლილება. ამ დავალებით მკვლევარმა შეამოწმა პასუხების მყისიერი სისწრაფე და სისხარტე. დავალების შესრულება დამყარებული იყო თვალის სისწრაფესა და მყისიერ რეაქციაზე. ამ შემთხვევაში, დავალების მონაწილე უყურებს ეკრანზე გამოსახულ გრაფიკულ გამოსახულებას და იმის მიხედვით, თუ რა ფერად განათდება თვალები - წითლად თუ მწვანედ - შესაბამის ოპერაციას ასრულებს. ეს დავალებაც თანდათან რთულდება და უფრო და უფრო მეტ მობილიზებას ითხოვს. ამ დავალებაშიც მონაწილეობდა 48 ახალგაზრდა ზრდასრული, რომელთა ნახევარი იყო ბილინგვალი, ხოლო ნახევარი - მონოლინგვალი. ისევე, როგორც „საიმონის დავალებაში“, ექსპერიმენტის შედეგები აქაც განსხვავებული აღმოჩნდა. ბილინგვალეზმა უპირატესობა მოიპოვეს დავალების რთულ ნაწილში, სადაც, გამოსახულების მიხედვით, თვალის არა ერთ რომელიმე, არამედ ერთდროულად ორივე ფერზე იყო საჭირო კონცენტრირება. დავალების სხვა დონეზე შედეგები თანაბარი აღმოჩნდა.

საინტერესოა ბიალისტოკის უფრო ადრინდელი კვლევებიც, მაგალითად, ბიალისტოკმა (1987) ჩაატარა 5-დან 9 წლამდე ასაკის 120 ბავშვის კვლევა. კვლევის დროს ბავშვებს სთხოვეს, შეესწორებინათ წინადადება სინტაქსური თვალსაზრისით, შინაარსობრივი სიზუსტის გაუთვალისწინებლად. წინადადებები შეიძლება ყოფილიყო შინაარსობრივად სწორი, მაგრამ გრამატიკულად მცდარი, შინაარსობრივად და გრამატიკულად სწორი, შინაარსობრივად არასწორი, მაგრამ გრამატიკულად სწორი და გრამატიკულად და შინაარსობრივად არასწორი. ინსტრუქციის შესაბამისად, ბავშვს ყურადღება უნდა მიექცია, რამდენად სწორად იყო შედგენილი წინადადება გრამატიკული თვალსაზრისით. ბიალისტოკმა (1987) დაადგინა, რომ ყველა ასაკის ბავშვებში ბილინგვალმა ბავშვებმა უფრო სწორი გრამატიკული კონსტრუქციები გამოიყენეს, ვიდრე მონოლინგვალებმა. ბიალისტოკმა აგრეთვე შეისწავლა ამ ბავშვებში სიტყვების პროცესირების და სიტყვიდან კონცეპტის შექმნის უნარის განსხვავებები მონოლინგვალებსა და ბილინგვალებს შორის. მან დაადგინა, რომ ბილინგვალ ბავშვი უფრო მეტად წვდება სიტყვის აზრს, ვიდრე

მონოლინგვალს. მკვლევარმა ბავშვებს დაავალა, განესაზღვრათ, თუ რამდენი სიტყვა იყო წინადადებაში. ბავშვებს 6–7 წლის ასაკამდე, ანუ წერა-კითხვის სწავლამდე, უჭირთ წინადადებაში სიტყვების რაოდენობის განსაზღვრა. წინადადებაში სიტყვების რაოდენობის განსაზღვრის უნარი ორი ფაქტორითაა განპირობებული: (ა) სიტყვებს შორის არსებული ზღვრის დაფიქსირების უნარი და (ბ) წინადადების მნიშვნელობასა და სიტყვების მნიშვნელობების დაკავშირების უნარი. ბიალისტოკმა (1987^ბ) დაადგინა, რომ, თუ მონოლინგვალ ბავშვებს 7 წლის ასაკში აქვთ ეს უნარი, ბილინგვალებს გაცილებით ადრე უვითარდებათ ორი მიზეზის გამო: (1) სიტყვების იდენტიფიკაციას უფრო ადვილად განსაზღვრავენ; (2) ადვილად ნახულობენ მეტყველების რელევანტურ ნაწილებს. ბილინგვალ ბავშვი უფრო ადვილად ახერხებს წინადადებიდან სიტყვების განცალკევებას, ფოკუსირებას ახდენს სიტყვათა მნიშვნელობაზე და შეუძლია ნაცნობი სიტყვების მორგება სხვადასხვა ობიექტისთვის (ბიალისტოკი, 1988).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბილინგვალებს არ აქვთ უკეთესი შედეგები ძალიან ფართო

მეტალინგვისტური ცნობიერების თვალსაზრისით, თუმცა, უპირატესობა ჩნდება, როცა საჭიროა ინფორმაციაზე სელექციური ყურადღების გამახვილება (როცა არის ურთიერთსაწინააღმდეგო ან დამაბნეველი ინფორმაცია). აღნიშნული უპირატესობა ორი ფაქტორით აიხსნება:

(1) ბილინგვალებს აქვთ საკუთარი ენობრივი ცოდნის უკეთესად ანალიზის უნარი;

(2) ენის შინაგანი პროცესირების კონტროლის უნარი.

ბიალისტოკის (2001) აზრით კი, ბილინგვალებს უპირატესობა აქვთ კონტროლის და არა ანალიზის თვალსაზრისით. მისი თქმით, ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ ბილინგვალებმა ორ ენას შორის დიფერენციაცია უნდა მოახდინონ, რადგან ორივე ენა აქტიურია ენობრივი პროცესირებისას.

(ბ) დაცულობა ტვინის აღსრულებითი პროცესირების შესუსტებისგან

ბიალისტოკმა ამ მიმართულებით ჩაატარა ორი კვლევა. ბიალისტოკმა და მისმა კოლეგებმა (2004) გამოიყენეს ე.წ. „საიმონის დავალება“, რათა შეედარებინათ უფრო ახალგაზრდა და შედარებით ასაკოვანი ბილინგვალეები და

მონოლინგვალეები. ექპერიმენტში მონაწილეებს უნდა დაეჭირათ კომპიუტერის კლავიატურის ღილაკისთვის შესაბამისი ფერის გამოჩენის დროს. ფერი ჩნდება მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში და სწორი პასუხი განსხვავებულია კონგრუენტული და არაკონგრუენტული პასუხების შემთხვევაში. კვლევაში მონაწილეობდნენ 30-დან 80 წლამდე ადამიანები. ბიალისტოკის და მისი კოლეგების (2004) ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ბილინგვალებმა უფრო ზუსტი პასუხები გასცეს მონოლინგვალებთან შედარებით როგორც ახალგაზრდებში, ასევე უფროსი ასაკის კვლევის მონაწილეებში, რამაც დაადასტურა, რომ ბილინგვალების უპირატესობა ასაკთან ერთად გრძელდება და ბილინგვიზმი ამცირებს ასაკთან დაკავშირებული გონებრივი პროცესირებისა და მეხსიერების შემცირების პროცესს (ბიალისტოკი და კოლეგები, 2004, გვ. 301). აღნიშნული კვლევით დადასტურდა, რომ 30 დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებში ბილინგვალეები ინარჩუნებდნენ სწრაფად რეაგირების უნარს მონოლინგვალებთან შედარებით. ამასთანავე კვლევამ აჩვენა, რომ 60 წლის ზევით დავალებაზე რეაგირების დრო იზრდება როგორც

ბილინგვალეზში ასევე მონოლინგვალეზში, თუმცა ბილინგვალეზი გაცილებით სწრაფად რეაგირებდნენ დავალეზზე თავიანთი ასაკის მონოლინგვალეზთან შედარებით. ასაკის ზრდასთან ერთად, ბილინგვალეზსა და მონოლინგვალეზს შორის დავალეზზე რეაგირების სისწრაფეს შორის სხვაობაც იზრდებოდა. ასაკთან ერთად მცირდება კოგნიტური კონტროლის უნარი. ამ ექსპერიმენტშიც ასაკიანი ადამიანები (60 დან 88 წლამდე) ვერ ახერხებდნენ მნიშვნელოვან ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას. კვლევის შედეგად მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ ბილინგვიზმი ამცირებს ასაკთან დაკავშირებულ კოგნიტურ პრობლემებს.

მეორე კვლევაში ბიალისტოკმა და მისმა კოლეგებმა გამოიყენეს “თვალის რეაგირების” დავალეზი. ამ ექსპერიმენტში სხვა მონაწილეებთან ერთად ცალკე გამოიკვლიეს 60 დან 70 წლამდე 48 კვლევაში მონაწილე, რომელთაგან ნახევარი ბილინგვალეზი, ნახევარი კი მონოლინგვალეზი იყო. კვლევაში მონაწილეებს უნდა ეყურებინათ სხვადასხვა საგნისთვის და მოეღვაწე ფერის გამოჩენაზე მოხდინათ მზერის სწრაფი ცვლილება. კვლევამ აჩვენა, რომ მწვანე ფერზე

რეაგირება ერთნაირი იყო ბილინგვალეზსა და მონოლინგვალეზს შორის. წითელ ფერზე მზერის შეცვლის სისწრაფე კი გაცილებით სწრაფად ხდებოდა ბილინგვალეზში, ვიდრე მონოლინგვალეზში. აღსანიშნავია, რომ იმავე დავალეზით ჩატარებულ კვლევაში ახალგაზრდებში სხვა შედეგი დაფიქსირდა და სხვაობა მონოლინგვალეზსა და ბილინგვალეზს შორის თითქმის არ იყო. ასაკთან ერთად ფერზე რეაგირების სისწრაფე ბილინგვალეზს უფრო მაღალი ჰქონდათ, რაც, მკვლევრის აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებდა ბილინგვალეზის უპირატესობას მონოლინგვალეზთან შედარებით ტვინის აღსრულებითი პროცესირების შესუსტების თვალსაზრისით.

ბიალისტოკის კვლევებმა აჩვენა, რომ ბილინგვალეზს ტვინში პროცესირების, კონტროლის და კატეგორიზაციის უნარი უფრო ადრეულ ასაკში უვითარდებათ მონოლინგვალეზთან შედარებით და მოხუცებულობის ასაკში უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში და უფრო ეფექტურად მუშაობს. მიუხედავად ამისა, მკვლევარი მიიჩნევს, რომ აღნიშნული უპირატესობები არ გულისხმობს, რომ ბილინგვალეზს უფრო

დიდი ინტელექტი აქვთ, ვიდრე მონოლინგვალეებს (ბიალისტოკი, 2007). ამასთანავე, ბიალისტოკი აღნიშნავს, რომ ბილინგვალეებს პრობლემები გააჩნიათ ენობრივ დავალებებზე რეაგირების თვალსაზრისით, ბილინგვალეებს სჭირდებათ მეტი დრო სემანტიკური ან სურათების დასათარღების დავალებების შესრულებისას (გოლანი და მისი კოლეგები, 2002, მითითებულია ბიალისტოკის (2007) მიხედვით).

აღსანიშნავია ერთი რამ: ბიალისტოკი მიიჩნევს, რომ ბილინგვალეებს არ გააჩნიათ მონოლინგვალეებთან შედარებით უპირატესობა კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორცაა ოპერატიული მეხსიერება და ბილინგვალეების უპირატესობა შემოიფარგლება კოგნიტური პროცესირების სტაბილურობით (ბიალისტოკი, 2007).

ბიალისტოკის კვლევების მსგავსად საინტერესოა ნამაცისა და ტორდადოტირის 2008 წელს ჩატარებული კვლევაც (ნამაცი, ტორდადოტირი, 2009). მკვლევართა მიზანი გახლდათ, დაედგინათ კავშირი ოპერატიულ მეხსიერებასა და

ვიზუალურად კონტროლირებად ყურადღებას შორის. ვიზუალურად კონტროლირებადი ყურადღება კოგნიტური პროცესირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. მკვლევრებს აინტერესებდათ, თუ რამდენად იყო ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებული, ანუ ინდივიდებს, რომელთაც ჰქონდათ უკეთესი კოგნიტური პროცესირების უნარი (ამ შემთხვევაში ვიზუალურად აღქმადი მოვლენის კონტროლი), ჰქონდათ თუ არა უპირატესობა ოპერატიული მეხსიერების თვალსაზრისითაც. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა ფრანგულენოვანმა მონოლინგვალმა, 15-მა ინგლისურენოვანმა მონოლინგვალმა და 15-მა ბილინგვალმა ბავშვმა.

მოცემული კვლევის მიზანი ის გახლდათ, რომ გამოეკვლია ურთიერთ-დამოკიდებულება ვერბალურ მეხსიერებასა (VM), ვიზუალურ მეხსიერებასა (WM) და კონტროლირებულ ყურადღებას (CA) შორის 5 წლის ბილინგვალ და მონოლინგვალ ბავშვებში. იმისათვის, რომ შემცირებულიყო ენობრივი განსხვავება, ბილინგვალი ბავშვები შეირჩა მაქსიმალურად ჰომოგენური ჯგუფებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ დაბალანსებულ

ბილინგვალებს და ერთნაირი ენობრივი უნარები ჰქონდათ ორივე ენაში. კვლევის ფარგლებში ხდებოდა ენობრივი გამოხატვის ყოველმხრივი გამოვლენის შეგროვება. ასევე, ხდებოდა ენობრივი შესაძლებლობის გაზომვა ექსპერიმენტულად. კვლევის სპეციფიკურ შეკითხვებს წარმოადგენდა შემდეგი საკითხები:

- არსებობს თუ არა ბილინგვიზმის უპირატესობა ადრეულ პარალელურ ბილინგვალ ბავშვებსა და მათ თანატოლ მონოლინგვალ ბავშვებს შორის?

- რა კავშირი არსებობს ვიზუალურ მეხსიერებასა და კონტროლირებულ ყურადღებას შორის, რომელიც არავერბალურ ტესტს გულისხმობს?

- ახდენს თუ არა გავლენას ვიზუალური მეხსიერების მაღალი უნარი კონტროლირებადი ყურადღების ტესტის შესრულებაზე?

მოცემულ კვლევაში მონაწილეობდა 45 ბავშვი, მათი გაყოფა მოხდა 3 ჯგუფად (თითო ჯგუფში 15 ბავშვი), 15 ბავშვი იყო ფრანგულენოვანი მონოლინგვალი, 15 ბავშვი ინგლისურენოვანი მონოლინგვალი, ხოლო 15 - ინგლისურ-ფრანგულენოვანი ბილინგვალი. ყველა ბავშვი იყო ნორმალურად განვითარებული, დარ-ღვევების გარეშე.

ბავშვების ტესტირება მოხდა ინდივიდუალურად - ან სახლში, ან დღის ცენტრში ან უნივერსიტეტის მშვიდ ოთახში. მონოლინგვალი ბავშვები შემოწმდნენ 2-2,5 საათიანი სეანსით, ინგლისურენოვანი ან ფრანგულენოვანი (ბავშვის ენის შესაბამისად) ექსპერიმენტატორის მიერ. ბილინგვალი ბავშვების შემოწმება მოხდა ორეტაპიანი ტესტირებით, თითოეულის ხანგრძლივობა შეადგენდა 2 - 2,5 საათს, თუმცა, ამ ორ სეანსს შორის ინტერვალი მინიმუმ 1 კვირა იყო და ტარდებოდა განსხვავებულ ენაზე - ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი ექსპერიმენტატორის ხელმძღვანელობით. კვლევაში მონაწილეებს შემდეგი დავალებები მიეცათ: (ა) *ექსპერიმენტული დავალებები (ვერბალური მეხსიერების გაზომვა)* - მოცემული დავალებების მიზანს წარმოადგენდა ვიზუალური და ვერბალური მეხსიერების გამოვლენა. აღნიშნული კვლევა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ადრეც ჩატარებულა; (ბ) *ვერბალური მუშა მეხსიერება (WM)* - ხანგრძლივი მოსმენის დავალება გამოიყენება ვერბალური მეხსიერების შესამოწმებლად. მოცემული დავალების ფრანგულენოვანი ადაპტირებული

ვერსია შემუშავდა ტორდადოტირის მიერ (2006). ბავშვები უსმენდნენ გრძელ წინადადებათა ერთობას, დაახლოებით 42 წინადადებას, რომლებიც 2-6 ციკლში იყო წარმოდგენილი და შემდეგ ბავშვებს უნდა ემსჯელათ ამ წინადადებების მნიშვნელობებზე. შემდეგ მათ მოეთხოვებოდათ თითოეული წინადადების ბოლო სიტყვის გამეორება. ბავშვები ორი კრიტერიუმით ფასდებოდნენ, პირველი კრიტერიუმი გულისხმობდა ბავშვების მიერ წინადადების სწორად გააზრება, ხოლო მეორე - წინადადების ბოლო სიტყვის წარმოთქმას; მიღებული შედეგები ითვლებოდა პროცენტებში; (გ) *ვერბალური მოკლევადიანი მეხსიერება* - ტესტი გულისხმობდა იმას, რომ ბავშვებს უნდა მოესმინათ სპეციალურად ჩაწერილი სიტყვები / მარცვლები და შემდეგ წარმოეთქვათ ისე, როგორც გაიგეს. შედეგები ითვლებოდა სწორად გამოთქმული სიტყვების/მარცვლების რაოდენობის მიხედვით. დავალებაში სულ წარმოდგენილი იყო 40 სიტყვა / მარცვალი როგორც ფრანგულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი ბავშვებისთვის; (დ) *ვიზუალური მუშა მეხსიერება (WM)* - ვიზუალური მეხსიერების, როგორც უნარის შემოწმების მიზნით

გამოყენებული იყო ჯეროლდის, ბედლის და ჰიუს (1999) მეთოდები. თუმცა წინა მეთოდებში გამოყენებული იყო ბაყაყის ფიგურები და ამ შემთხვევაში ტესტში წარმოდგენილი იყო მულტფილმ „Spongebob“-ის გმირები. ბავშვებს უჩვენებდნენ ცხრილს, რომელშიც თითოეული უჯრა 3 სმ²-ს შეადგენდა. უჯრების ნახევარში წარმოდგენილი იყო „Spongebob“ გმირები. ორი დაყოვნების შემდეგ გამოსახულება ქრებოდა და ბავშვებს სენსორული მოწყობილობის საშუა-ლებით ხელი უნდა დაეჭირათ იმ კვადრატზე, სადაც ეგულებოდათ მულტფილმის გმირის გამოსახულება. ბავშვებს იმდენი დაჭერის უფლება ჰქონდათ, რამდენი გამოსახულებაც იყო ეკრანზე. სულ 20 მცდელობა იყო შესაძლებელი; (ე) *კონტროლირებული ყურადღება ვიზუალურ სფეროში* - დავალების მონაწილეებს კომპიუტერის გამოყენებით მოეთხოვებოდათ, ხელი დაეჭირათ წითელი ღილაკისთვის, როდესაც ეკრანზე წითელი კვადრატი გამოჩნდებოდა, შესაბამისად, ლურჯი ღილაკისთვის, როდესაც ლურჯი კვადრატი გამოჩნდებოდა. სწორი პასუხი განსხვავებული იყო კონგრუენტული და არაკონგრუენტული პასუხების შემთხვევაში. წითელი ღილაკი

განთავსებული იყო მარცხენა მხარეს, ხოლო ლურჯი - მარჯვენა მხარეს. დავალების მიზანი იყო, გაეზომა ბავშვების რეაქციის დრო. დავალება შედგებოდა 72 ცდისგან, აქედან 36 ცდა კონგრუენტული იყო, ხოლო 36 – არაკონგრუენტული.

საინტერესო აღმოჩნდა კვლევის შედეგები. მკვლევრებმა არსებითი სხვაობა მონოლინგვალეზსა და ბილინგვალეზს შორის ვერ დაადგინეს, თუმცა დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე ბავშვებს, რომელთაც აღმოაჩნდათ უკეთესი კოგნიტური პროცესირების უნარი - აღმოაჩნდათ უკეთესი ოპერატიული მეხსიერებაც, ანუ მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ უკეთესი კოგნიტური პროცესირების უნარი ხელს უწყობს ოპერატიულ მეხსიერებას, თუმცა განსხვავება მონოლინგვალეზსა და ბილინგვალეზს შორის ვერ დადგინდა...

ბილინგვალიზმის დადებითი გავლენა ენების შესწავლისას

არსებობს მოსაზრება, რომ ორი ენის შესწავლისას სხვა ტიპის პროცესები მიმდინარეობს შემსწავლელისთვის და ორი ენის შესწავლა განხვავებულად ხდება, ვიდრე მხოლოდ ერთი ენისა. ამ

მხრივ საინტერესოა გაზერკოულის (2007) კვლევა, რომელიც ეფუძნება ორი ჯგუფის: ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი ბილინგვალი მოსახლეობის კვლევას მაიამიში და ინგლისელ-უელსელი ბილინგვალეზის კვლევას ჩრდილოეთ უელსში. აღნიშნული კვლევის შედეგად, მკვლევარი შემდეგ დასკვნებამდე მივიდა: (ა) ენის შესწავლისას ბილინგვალეზისა და მონოლინგვალეზის უმრავლესობა ზუსტად ერთსა და იმავე გზას გადის. (ბ) კვლევაში მონაწილე ჯგუფებიდან მიღებული შედეგების მიხედვით, ბილინგვალეზის ნაწილს სჭირდებოდათ მეტი დრო თითოეულ ენაში საჭირო სიტყვის მოსაძიებლად, თუმცა, კვლევაში მონაწილე ბილინგვალთა უფრო დიდი ნაწილი მონოლინგვალეზისგან არ განხვავდებოდა სიტყვის გამოხმობის სისწრაფის თვალსაზრისით; (გ) საწყის ეტაპზე ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება, რომელიც გამოიხატება ნააზრევის სტრუქტურულად აწყობის სისწორეში, გარკვეული დროის შემდეგ მინიმალური ხდება. (დ) მონოლინგვალეზისა და ბილინგვალეზის ენის შესწავლისა და ათვისების პროცესები არ განსხვავდება. ბილინგვალი ორ ენას ერთდროულად შეისწავლის ზუსტად იმავე პრინციპით, როგორც მონოლინგვალი - ერთ ენას.

კენოზიმ და ვალენსიამ (1994) გამოიკვლიეს 320 ბასკურ-ესპანურ ბილინგვალსა და ესპანელ მონო-ლინგვალს შორის ინგლისური ენის ფლობის დონე. როგორც მკვლევრები აღწერენ, ბასკური ენა ესპანეთში არ გამოიყენებოდა 1978 წლამდე. 1978 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ბასკურ ენაზე განათლების მიღება, აგრეთვე - ენის გამოყენება სახელისუფლებო უწყებებსა და მასმედიაში. ამავე დროს, ესპანური ენა არის კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება და ოფიციალური ენა. ბასკურსა და ესპანურს გამოიყენებენ ბასკურ სკოლებში სწავლების ენად, ასევე, როგორც სასწავლო საგანს (კენოზი და ვალენსია, გვ.197). კენოზიმ და ვალენსიამ გაზომეს კვლევაში მონაწილეთა ინტელექტის დონე, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (მამის საქმიანობა), მონაწილეთა განწყობები ამ ენაზე (ინგლისური) მოსაუბრე საზოგადოების მიმართ, ინგლისური ენის სწავლის მოტივაცია და მისი გამოყენების სიხშირე. კვლევის დროს მათ შეამოწმეს მონაწილეთა ინგლისური ენის ცოდნის დონე ინგლისურ ენაზე ზეპირი გასაუბრების საშუალებით. ცოდნის დონის დასადგენად ასევე გამოიყენეს მოსასმენი ტესტი და კითხვის ტესტი. კითხვის ტესტის შემთხვევაში, იყო მოთხოვნა, მონაწილეებს ეპოვათ

რელევანტური ინფორმაცია სხვადასხვა დავალების შესასრულებლად. და ბოლოს, მათ უნდა დაეწერათ 250-სიტყვიანი ტექსტი. შემოწმებისათვის გამოყენებულ იქნა ასევე ლექსიკისა და გრამატიკის ტესტი (ტესტი მოიცავდა სამ არჩევით პასუხს). შედეგებმა აჩვენა, რომ მოტივაცია, ინტელექტის დონე, ინგლისური ენის გამოყენების სიხშირე და ასაკი არის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ინგლისურ ენაში მიღწევებს. კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისურის, როგორც მესამე ენის, სწავლას აგრეთვე ხელს უწყობს ბილინგვიზმი. უფრო მეტიც, აღნიშნული ოთხი ფაქტორი (მოტივაცია, ინტელექტის დონე, ინგლისური ენის გამოყენება და ასაკი) არ ურთიერთქმედებს ბილინგვიზმთან. აქედან გამომდინარე, კენოზიმ და ვალენსიამ წარმოადგინეს ბილინგვიზმის დადებითი გავლენა მესამე ენის შესწავლისას და დაასკვნეს, რომ ინტელექტის დონის, მოტივაციის, ასაკისა და ინგლისური ენის გამოყენების ეფექტები ბილინგვიზმის ეფექტისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია.

თომასმა (1988) კვლევა ჩაატარა ინგლისურ-ესპანური კოლეჯის 16 ბილინგვალ მოსწავლესთან, რომლებიც ფრანგულს სწავლობდნენ, როგორც მესამე ენას. აქედან 10 მონაწილე იყო ინგლისურად მოსაუბრე, რომლებიც

ტეხასში ესპანურს სწავლობდნენ, როგორც მეორე ენას, სადაც მოსწავლეთა პოპულაციის 51% ესპანურენოვანია. ბილინგვალი მოსწავლეები გაიყო ორ ჯგუფად: 1. ინგლისურენოვანი მოსწავლეები, რომლებიც ფორმალური განათლების გზით სწავლობდნენ ესპანურს (10) და 2. ინგლისურენოვანი მოსწავლეები, რომლებიც არაფორმალურად სწავლობდნენ ესპანურს სახლში (6). თომასის კვლევის დროს რამდენიმე საკონტროლო ფაქტორი გამოიყო: მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ფრანგულის გამოყენების სიხშირე, მასწავლებელი, სწავლების მეთოდი და სასწავლო წიგნი. გაზომვა ხდებოდა თანამედროვე ენობრივი უნარების ტესტის მიხედვით. საკვლევ ორ ჯგუფს შორის მოტივაციის გასაზომად გამოყენებულ იქნა გარდნერისა და ლამბერტის მოდიფიცირებული მოტივაციის კითხვარი. კითხვარების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოტივაციის დონე ორივე საკვლევ ჯგუფთან ერთი და იგივე იყო. სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ მესამე ენის ფლობის დონე გაიზომა ფრანგული ლექსიკური და გრამატიკული ტესტების საშუალებით. ლექსიკური ტესტი მოიცავდა როგორც სუფთა ფრანგულ სიტყვებს, ასევე ტესტის ნახევარი შედგენილი იყო ისეთი სიტყვებით,

რომელთაც ჰქონდათ ვიზუალური ან სემანტიკური კავშირი ესპანურ ენასთან. გრამატიკული ტესტი მოიცავდა ცალკეულ წინადადებებს. კვლევის მონაწილეებს უნდა დაესრულებინათ წინადადება. მათ მიცემული ჰქონდათ წინადადების დასრულების სამი ვარიანტი. მიცემული სამიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი იყო გრამატიკულად სწორი. გრამატიკული ტესტი აფასებდა მოსწავლეებში სიტყვათწყობის, ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმების, ზედსართავების შეთანხმებისა და უარყოფითი წინადადებების შედგენის ცოდნას. კვლევას შემდეგი დავალება ჰქონდა: მონაწილეებს უნდა დაეწერათ ტექსტი, რომელიც იქნებოდა, დაახლოებით, 10 წინადადების მომცველი. შემდეგ აღნიშნული ტექსტები გასწორდა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ფრანგული ენის სპეციალისტების მიერ. გამსწორებლები აფასებდნენ, რამდენად გასაგები და გააზრებადი იყო ტექსტი. ისინი მოსწავლეთა შედეგების რანჟირებას ახდენდნენ ნულიდან ხუთამდე სკალაზე. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბილინგვალებმა მონოლინგვალებზე უკეთესი შედეგები აჩვენეს ფრანგული ენის ლექსიკასა და გრამატიკაში. შედეგებმა აგრეთვე აჩვენა, რომ საერთო ჯამში, ბილინგვალებს, რომლებიც ორივე ენაზე იღებდნენ ფორმალურ განათლებას

უფრო კარგი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც მხოლოდ ერთ ენაზე, ინგლისურად იღებდა ფორმალურ განათლებას. ამ შედეგებზე დაყრდნობით, თომასმა აჩვენა, რომ ბილინგვალებს უკეთესი შედეგი ჰქონდათ მონოლინგვალებთან შედარებით ენის ათვისების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ფორმალური განათლების მქონე ორენოვანმა მოსწავლეებმა აჯობეს მხოლოდ ერთ ენაზე ფორმალური განათლების მქონე მოსწავლეებს, მიუთითებს იმაზე, რომ ენის შეგნებული, გააზრებული აღქმა უზრუნველყოფს ბილინგვალების უპირატესობას იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებმაც არაფორმალურად ისწავლეს მეორე ენა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თომასის კვლევის შედეგების განზოგადება ძალიან საფრთხილოა, რადგან მის კვლევაში მონაწილეთა მცირე რაოდენობა იღებდა მონაწილეობას.

საგასტამ და პილარმა (2003) გამოიკვლიეს 155 ბასკურ-ესპანურენოვანი ბილინგვალი ბავშვი ესპანეთში, ბასკების მხარეში, სადაც ბასკური უმცირესობათა ენაა, ხოლო ესპანური - უმრავლესობის ენა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ესპანურ ენას 3-4 სასწავლო საათი აქვს კვირაში დათმობილი. აქ ასევე ინგლისური ენა ისწავლება, როგორც უცხო ენა. საკვლევად შეირჩნენ 8 წლის,

მესამე კლასის მოსწავლეები. ბასკურ ენაზე განათლებას აღნიშნული მოსწავლეების ნახევარი იღებდა, მეორე ნახევარი განათლებას იმერსიული ბილინგვური მოდელის მიხედვით იღებდა. კვლევამ აჩვენა, რომ, ზოგადად, ყველა მოსწავლეს კარგი შედეგები აქვს ბასკურ ენაში. ხოლო იმ მოსწავლეებმა კი, რომლებიც ბასკურ ენას იყენებენ უფრო ხშირად, გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენეს ინგლისურ ენაში.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი კვლევებიდან დასტურდება ბილინგვიზმის უპირატესობები მეტაკოგნიტური ცნობიერებისა და ენის ათვისების თვალსაზრისით. მიუხედავად ამ უპირატესობებისა, ბილინგვური განათლება მაინც საკამათო საკითხად რჩება განათლების პოლიტიკის განმახორციელებელთათვის, რადგან მხოლოდ ეფექტური ბილინგვური განათლების პროგრამები უზრუნველყოფენ დაბალანსებულ ბილინგვიზმს და ორ ენაში ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. არაეფექტური ბილინგვური განათლების პროგრამა კი შესაძლებელია შემაფერხებელიც კი აღმოჩნდეს როგორც ენის ათვისების, ასევე აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, რომ საგანმანათლებლო

დაწესებულებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ბილინგვური განათლების ეფექტური პროგრამები, რათა ბილინგვიზმის უპირატესობების გამოყენება მოხდეს.

ლიტერატურა:

- ბეიკერი (2006)- Baker, C., 2006, *Foundations of Bilingual Education and Bilingualism* Clevedon: Multilingual Matter;
- ბეკერმანი (2005) Bekerman, Z. (2005). Complex contexts and ideologies: Bilingual Education in conflict-ridden areas. *JOURNAL OF LANGUAGE IDENTITY AND EDUCATION*, 4 (1), pp. 1-20.
- ბილისტოკი, 2004 - Bialystok, E., Craik, F. I., Klein, R., & Viswanathan, M. (2004). Bilingualism, aging, and cognitive control: evidence from the Simon task. *Psychology and aging*, 19(2), 290;
- ბილისტოკი, 1988 - Bialystok, E. (1988). Levels of bilingualism and levels of linguistic awareness. *Developmental Psychology*, 24, 560–567.
- ბილისტოკი, 2001 - Bialystok, E. (2001). *Bilingualism in development: Language, literacy, and cognition*. New York: Cambridge University Press.
- ბილისტოკი, 2007 - Bialystok, E. (2007). Cognitive effects of bilingualism: How linguistic experience leads to cognitive change. *International Journal of Bilingual Education and Bilingualism*, 10(3), 210-223.
- კენოზი და ვალენსია, 1994 - Cenoz, J. & Valencia, J.F. (1994). Additive trilingualism: Evidence from the Basque Country. *Applied Psycholinguistics*, 15, 195-207;
- მიულერ გათერკოლი, 2007 - Mueller Gathercole, V.C (2007) Miami and North Wales, So Far and Yet So Near: A Constructivist Account of Morphosyntactic Development in Bilingual Children, *The International Journal of Bilingual Education and Bilingualism*, Vol. 10, No. 3, 2007
- ნამაზი და თორდადოტირი, 2010 - Namazi, M. & Thordardottir, E. (2010) A working memory, not bilingual advantage, in controlled attention. *International Journal of Bilingual Education and Bilingualism* Vol. 13, No. 5, September 2010, 597616;
- თომასი, 1988 - Thomas, J. (1988). The role played by metalinguistic awareness in second and third language learning. *Journal of Multilingual and Multicultural Development*, 9, 235-246.
- საგასტა და პილარი, 2003 Sagasta, E. & Pilar, M. (2003) Acquiring writing skills in a third language. The positive effects of Bilingualism. *International Journal of Bilingualism*, 7 (1), 27-